საჯარო

სამართლის იურიდიული პირის –თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანის არჩევნების გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის ,,ბ“ პუნქტის, 29–ე მუხლის 1-ლი და მე–2 პუნქტების, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-20 მუხლის ,,ა“ პუნქტისა და 21–ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე, კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს ადგენს:

1. გამოცხადდეს სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის (შემდგომში – ფაკულტეტის) დეკანის არჩევნები.
2. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს კონსერვატორიაში 2025 წლის 17 ოქტომბერს 10:00 საათზე და დასრულდეს 2025 წლის 22 ოქტომბრის 18:00 საათზე (კვირის გარდა, მისამართი: ქ. თბილისი, ალ. გრიბოედოვის ქ. №8-10, ოთახი №216). სარეგისტრაციო განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გადმოგზავნა ასევე შესაძლებელია ელექტრონულ მისამართზე:konkursi@tsc.edu.ge);
3. ფაკულტეტის დეკანის არჩევნები ჩატარდეს 2025 წლის 27 ოქტომბერს, 14.00-დან 17.00 სთ-მდე.
4. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანის არჩევის ვადად განისაზღვროს 4 (ოთხი) წელი, 2025 წლის 28 ოქტომბრიდან 2029 წლის 28 ოქტომბრის ჩათვლით.
5. ფაკულტეტის დეკანად შეიძლება აირჩეს კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, რომელსაც გააჩნია სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება.
6. ფაკულტეტის დეკანს თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის საბჭო.

7. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს:
ა) განცხადება საარჩევნო კომისიის სახელზე სახელზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დეკანის თანამდებობის დაკავების მსურველი პირის ვინაობა, საცხოვრებელი მისამართი, ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტის მისამართი, სასურველი თანამდებობის ზუსტი დასახელება (იხ. განცხადების ფორმა);
ბ) განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:
1.1.პირადობის მოწმობის ასლი;
1.2 ავტობიოგრაფია (CV);
1.3 ორი ფოტოსურათი (3X4);
1.4 ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია;
1.5 ცნობა სამედიცინო ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ;
1.6 ცნობა დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ;
1.7. ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ;

8. საარჩევნო კომისიის მიერ, ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატი რეგისტრირებულად ჩაითვლება, თუ იგი წინამდებარე გადაწყვეტილებით დადგენილ დოკუმენტაციას წარმოადგენს ამავე დოკუმენტით განსაზღვრული წესით და ვადებში.
9. ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურები წესრიგდება, კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებული საარჩევნო პროცედურების შესაბამისად;
10. საჯაროდ გაცნობის მიზნით წინამდებარე გადაწყვეტილების თვალსაჩინო ადგილზე განთავსება დაევალოს კონსერვატორიის საქმეთა წარმოების სამსახურს.
11. ფაკულტეტის საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებგვერდზე www.tsc.edu.ge;
12. წინამდებარე გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64 (მე–12 კილომეტრი).
13. გადაწყვეტილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭო**

**(ფაკულტეტის საბჭოს სხდომა: 15.09.2025 #06)**